



ვამტკიცებ:
დავით ტვილდიანის სახელობის
სამედიცინო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფ. ლ. ტვილდიანი



დავით ტვილდიანის
სახელობის
სამედიცინო უნივერსიტეტი
უმაღლესი სამედიცინო სკოლა "აიეტი"



დიპლომირებული მედიკოსის
საგანმანათლებლო პროგრამა (ე-პდს)

დტსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა ფუნქციონირებს 1992 წლიდან, ხოლო 1997 წელს მასზე გაიცა საავტორო უფლება (№1-01/21-34). 2012 წელს ევროკავშირის დაფინანსებით უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობს ტემპუსის პროექტის „Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients“ ფარგლებში მის განვითარებაზე. კერძოდ, სამედიცინო განათლებაში არსებულ საერთაშორისო გამოცდილებასა და ეროვნულ დარგობრივ დოკუმენტზე დაფუძნებით პროგრამის საბაზისო (სამედიცინო საბაზისო მეცნიერებები) სწავლების ეტაპზე (II-III კურსი) იგი ზრდის სწავლების ინტეგრირების ხარისხს და შემოაქვს სწავლების (PBL) დამატებითი ფორმატი, რაც არსებითად არ ცვლის დიპლომირებული მედიკოსის არსებული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს, თუმცა განიხილება როგორც მისი უფრო ეფექტურ მიღწევის საშუალება. პროგრამა სწავლების ამ ეტაპზე* მატერიალური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით ამჟამად სწავლის ამ ფორმატში ჩართვის საშუალებას იძლევა 4 ჯგუფისთვის (8 სტუდენტი თითო ჯგუფში); შეთავაზებული იქნება 2013-2014 სასწავლო წლის დტსუ-ს I კურსის სტუდენტებისთვის, როგორც მათი II და შემდგომ III კურსის სწავლების ფორმატი (ორივე პროგრამის I კურსი სრულიად ინდენტურია). დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ერთსაფეხურიან ინტეგრირებულ უმაღლეს სამედიცინო განათლებას, რომლის წარმატებულად დასრულებისას კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი.

სწავლება მიმდინარეობს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

პროგრამაზე დაშვება ხორციელდება დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზანია - მოამზადოს საერთაშორისო დონის სამედიცინო კადრი.

პროგრამის ამოცანაა – სასწავლო კურსების შინაარსის/მოცულობის, ასევე სწავლებისა და სწავლის იმგვარი ორგანიზება, რომელიც ხელს შეუწყობს:

- საბაზისო სამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებებში თანამედროვე ცოდნის მიღწევას;
- სწავლების შესაბამისი საფეხურისთვის (სამედიცინო სწავლების I საფეხური) აუცილებელი კლინიკური უნარების დაუფლებას;
- პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებების აღზრდას;
- მომავალი პროფესიული საქმიანობის განმავლობაში უწყვეტი სწავლისა და განვითარებისთვის მზადყოფნას.

*დიპლომირებული მედიკოსის მიმდინარე პროგრამის (აკრედიტაცია მიენიჭა 2011 წლის 25 ნოემბერს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №341) სწავლების ამ ეტაპის (I-V სემესტრი) დასახელებაა „თეორიული (საბაზისო) მედიცინის“ კურსი, ახალი პროგრამის ამ ეტაპის (I-VI

სემესტრი) დასახელება იქნება „ საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების“ კურსი.

დიპლომირებული მედიკოსის დასაქმების სფეროებია:

- საექიმო საქმიანობა უმცროს ექიმად. უმცროსი ექიმი ასრულებს ექიმის ფუნქციას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სუბიექტის მითითებითა და პასუხისმგებლობით.

- პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა.

დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მქონე პირს უფლება აქვს, გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში, ან გაიაროს რეზიდენტურის კურსი და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.

სასწავლო წლის ხანგრძლივობა და კრედიტების მოცულობა

1. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა 6 წლიანია და მოიცავს 376 კრედიტს.
2. სასწავლო წელი მოიცავს 40 სამუშაო კვირას (240 სამუშაო დღეს) და შედგება ორი სემესტრისგან – შემოდგომის სემესტრი (20 კვირა) და გაზაფხულის სემესტრი (20 კვირა). სემესტრებს შორის არდადეგებია.
3. სწავლება ძირითად მიმდინარეობს კურსიული წესით.
4. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით სასწავლო წლის თითოეული 20 კვირიანი სემესტრის სასწავლო მოცულობა შეადგენს: I კურსზე 60 კრედიტს, II კურსზე 64 კრედიტს, III კურსზე 62 კრედიტს, IV კურსზე 67 კრედიტს, V კურსზე 63 კრედიტს, VI კურსზე 60 კრედიტს.
5. 1 კრედიტი 30 სამუშაო საათია, აქედან დიდი უმრავლესობისთვის 16 საათი საკონტაქტოა, ხოლო 14 საათი გამოყოფილია სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

სწავლების 6 წლიანი პერიოდი მოიცავს 3 ეტაპს.

I. საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების კურსი

მას ეთმობა პირველი ექვსი სემესტრი (3 წელი). საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების კურსის სასწავლო მოცულობა შეადგენს 186 კრედიტს (186 ECTS).

I კურსზე მიმდინარეობს თემებზე ორიენტირებული სწავლება. სასწავლო კურსების პროგრამები ორგანიზებულია იმგვარად, რომ თითოეული საგნის ზოგადი ნაწილის გარდა შეისწავლება ის მასალა, რომელიც II კურსზე ადამიანის ორგანოთა სისტემების შესწავლისთვის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს. მოდულებსა და ცალკეულ სასწავლო კურსებზე გამოყოფილი კრედიტების ჯამი

სემესტრის განმავლობაში შეადგენს: I- II სემესტრი 30 კრედიტს, ხოლო სასწავლო წლის განმავლობაში – 60 კრედიტს;

II კურსი მთლიანად და III კურსის შემოდგომის სემესტრი (ანუ III–V სემესტრები) ეთმობა ადამიანის ორგანოთა სისტემების შესწავლას და საბაზისო მედიცინის სასწავლო კურსების პროგრამები ერთმანეთთან ჰორიზონტალურადაა ინტეგრირებული, დაკავშირებულია შინაგან სწავლებათა პროპედევტიკისა და ფარმაკოლოგიის შესწავლასთან (ვერტიკალური სწავლების ელემენტი) და ქმნის ორგანოთა სისტემების 9 მოდულს:

1. II კურსზე ისწავლება ორგანოთა სისტემების 6 მოდული: ძვალ-კუნთოვანი, რომელზედაც გამოყოფილია 7.5 კრედიტი, სისხლძარღვო-სისტემა და ინფექცია – 12.25 კრედიტი, გულ-სისხლძარღვთა – 12.25 კრედიტი, სასუნთქი – 9.5 კრედიტი, საჭმლის მომნელებელი – 10.5 კრედიტი, ნერვული სისტემა და კანი – 8 კრედიტი და სხვა სასწავლო კურსები - 4 კრედიტი. ჯამში 64 კრედიტი
2. III კურსზე (V სემესტრი) ისწავლება ორგანოთა სისტემების 3 მოდული და სხვა სასწავლო კურსები (მათი კრედიტების ჯამია 31 კრედიტი): საშარდე – 7 კრედიტი, რეპროდუქციული – 7 კრედიტი, ენდოკრინული – 9.5, ქვევითმეცნიერება - 4.5 კრედიტი და სხვა სასწავლო კურსები - 3 კრედიტი. ჯამში 31 კრედიტი.
3. თითოეული სისტემის შესწავლა იწყება ემბრიოლოგიით, შემდეგ განიხილება მის შემადგენელ ორგანოთა სტრუქტურა მაკროსკოპულ (ანატომია) და მიკროსკოპულ (ჰისტოლოგია) დონეებზე და ნორმალური ფუნქციონირების კანონზომიერებანი (ფიზიოლოგია და ბიოქიმია). ამის შემდეგ შეისწავლება თითოეული სისტემის დაავადებათა ეტიოლოგია და პათოგენეზი (მიკრობიოლოგია, პათოლოგია – პათანატომია და პათოფიზიოლოგია), პათოლოგიური პროცესების კლინიკური შეფასება, დაავადებათა ტიპური კლინიკური სურათი, დიაგნოსტიკის საფუძვლები (პროპედევტიკა) და მედიკამენტური მკურნალობის საშუალებები (ფარმაკოლოგია). თითოეულ ზემოაღნიშნულ მოდულში სწავლება შეთავაზებულია მოდულში ე. წ. PBL-კვირების ჩართვით, რაც შესასწავლი მასალის (ფუნდამენტური და კლინიკური მეცნიერებები) ფოკუსირებას ზრდის საკითხის კლინიკურ მნიშვნელობასა და პაციენტის სარგებელზე.
4. III კურსის (VI სემესტრი) ორგანიზებულია საბაზისო და კლინიკურ მეცნიერებათა ინტერდისციპლინური სწავლების (ადამიანის ორგანიზმის უმთავრეს ფუნქციებზე დაფუძნებით) კურსის ფორმით და შემდგომი, კლინიკური ეტაპის სწავლებისთვის მზადების ეტაპია. აღნიშნული კურსიც ორგანიზებულია PBL-კვირების ირგვლივ (და გამოყენებით).

სწავლების ამ ფაზის ამოცანებია კურიკულუმის (მისი საბაზისო სამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებათა ეტაპის) ძირითადი არეების დაფარვა, უმთავრესად მოდულარული მიდგომით; მისი მიზანია ადამიანის ჯანმრთელობასა და დაავადებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს (საბაზისო) საკითხებზე, როგორცაა ადამიანის სტრუქტურა, ფუნქცია, სიცოცხლის ციკლი და მისი ხელშეწყობა, სიცოცხლის შენარჩუნება და დაცვა გაცნობიერებაზე ფოკუსირება. სწავლება მიმდინარეობს ძირითად მოდულარული მიდგომით და PBL-ის გამოყენებით და მოიცავს შემდეგ 6 მოდულს: სიცოცხლის ციკლი, სიცოცხლის დაცვა, სიცოცხლის ხელშეწყობა, სიცოცხლის შენარჩუნება, სიცოცხლის სტრუქტურა, სიცოცხლის კონტროლი.

თითოეულზე 3 კვირაა გამოყოფილი. სწავლების თითოეულ კვირაში საკონტაქტო დრო დათმობილია მოდულარული სწავლებისთვის (მოდულში შესაბამისი საბაზისო მეცნიერებათა ტუტორიალები, PBL სესია და ზოგადი კლინიკური გამოცდილება-ჯამში არა უმეტეს 16 საკონტაქტო საათისა) და არა-მოდულარული სწავლებისთვის (არაუმეტეს 8-10 საკონტაქტო საათისა კვირაში). შესაბამისად, სწავლების თითოეულ კვირაში, საკონტაქტო სწავლება ძირითადად არ აღემატება 24-26 საათს. სტუდენტები ვინც დამაკმაყოფილებლად დაამთავრებენ სწავლების ამ ეტაპს (საბაზისო სამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებათა) დაშვებულნი იქნებიან შემაჯამებელ გამოცდაზე.

სწავლების ეს ეტაპი აძლიერებს საბაზისო და კლინიკურ მეცნიერებათა კლინიკურ კონტექსტში გაცობიერებას, აგრეთვე ფარავს დიპლომირებული მედიკოსის კურიკულუმის სხვა მნიშვნელოვან თემებს და შესაბამისად ორგანიზებულია შემდეგ 6 მოდულში შემდეგი მოცულობით:

1. სიცოცხლის ციკლი - 3 კრედიტი.
2. სიცოცხლის დაცვა - 3 კრედიტი.
3. სიცოცხლის უზრუნველყოფა - 3 კრედიტი.
4. სიცოცხლის შენარჩუნება - 3 კრედიტი.
5. სიცოცხლის სტრუქტურა - 3 კრედიტი.
6. სიცოცხლის კონტროლი - 4 კრედიტი.

არამოდულარული სწავლებისთვის ამავე სემესტრში სტუდენტი გადის სამედიცინო განათლებისათვის ისეთი ინტერდისციპლინარული მნიშვნელობის თემებს როგორცაა:

7. რადიოლოგია - 4 კრედიტი.
8. სამედიცინო საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები - 2 კრედიტი.
9. საზოგადოებრივ ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია - 6 კრედიტი.

1) სიცოცხლის ციკლი:

- ა) ასაკთან (მოხუცებულები) დაკავშირებული ფუნქციური (ფიზიოლოგია), მორფოლოგიური (პათოლოგია) და ქცევითი (Behavioral sciences) ცვლილებები, კლინიკური დიაგნოსტიკისა და ფარმაცოლოგიის საკითხები.
- ბ) რეპროდუქციული სისტემის მორფოლოგიის (ანატომია, ჰისტოლოგია, პათოლოგია) და ფიზიოლოგიის დაკავშირებული საკითხები და დიაგნოსტიკურ/კლინიკური შეფასების მეთოდები.
- გ) გენეტიკის (ნორმა) და გენეტიკური დაავადებების მოლეკულური ბიოლოგიის/ბიოქიმიური გენეტიკის, თანდაყოლილი დაავადებების, პრენატალური დიაგნოსტიკისა და კლინიკურ-გენეტიკური შეფასების საკითხები.

2) სიცოცხლის დაცვა:

ორგანიზმის იმუნური სისტემა: ნორმისა და პათოლოგიის საკითხები.

- ა) ლიმფური სისტემა (ჰისტოლოგია); ბაქტერიულ/ვირუსული (საკვები წარმოშობის) პათოგენები (მიკრობიოლოგია; ალერგიული დაავადებების, იმუნოლოგიის, კლინიკური დიაგნოსტიკის/შეფასების/ფარმაცოლოგიის საკითხები).

- ბ) კანცეროგენეზი და ჰემატოლოგიური სიმსივნეები (მიკრობიოლოგიის, პათოლოგიის), დაავადებათა კლინიკური შეფასების, ფარმაცოლოგიის საკითხები.

- გ) იმუნოდეფიციტის (HIV/AIDS) მიკრობიოლოგიის, იმუნოლოგიის, პათოლოგიის და ფარმაკოლოგიის (პრევენცია+მკურნალობა) საკითხები.
- 3) სიცოცხლის უზრუნველყოფა:
- ა) კვდ-ით პაციენტის შეფასებისთვის ღირებული მორფოლოგიის (ანატომია, პათოლოგია), ფუნქციის (ფიზიოლოგია) ასპექტები; პაციენტის დიაგნოსტიკის/შეფასების/ფარმაკოლოგიის საკითხები.
- ბ) სასუნთქი სისტემით პაციენტის შეფასებისთვის ღირებული მორფოლოგიის (ანატომია, ჰისტოლოგია, პათოლოგია), ფუნქციის (ფიზიოლოგია) ასპექტები, პაციენტის დიაგნოსტიკის/შეფასების/ფარმაკოლოგიის საკითხები.
- გ) გუ-ით და რითმის დარღვევით პაციენტის შეფასებისთვის ღირებული მორფოლოგიის (ანატომია, პათოლოგია), ფუნქციის (ფიზიოლოგია) ასპექტები, პაციენტის დიაგნოსტიკის/შეფასების/ფარმაკოლოგიის საკითხები.
- 4) სიცოცხლის შენარჩუნება:
- ა) საჭმლის მომნელებელი სისტემის პათოლოგიით (კიბო) პაციენტის შეფასებისთვის ღირებული მორფოლოგიის (ანატომია, პათოლოგია), ფუნქციონირების (ბიოქიმია: მონელება და ნუტრიციული შეფასება) საკითხები;
- ბ) ღვიძლის პათოლოგიით პაციენტის შეფასებისთვის ღირებული მორფოლოგიის (ანატომია, ჰისტოლოგია, პათოლოგია), ფუნქციონირების (ფიზიოლოგია), კლინიკური დიაგნოსტიკის/შეფასების/მკურნალობის მეთოდები.
- გ) საშარდე სისტემის პათოლოგიით (თქუ) შეფასებისთვის ღირებული მორფოლოგიის (ანატომია, ჰისტოლოგია, პათოლოგია), ფუნქციონირების (ფიზიოლოგია) ასპექტები; კლინიკური დიაგნოსტიკის/შეფასების/მკურნალობის პრინციპების მეთოდები.
- 5) სიცოცხლი სტურქტურა:
- ა) აუტოიმუნური პათოლოგიით (სისტემური წითელი მგლურა) პაციენტის შეფასებისთვის ღირებული მორფოლოგიის (ჰისტოლოგია, პათოლოგია), იმუნოლოგიური დარღვევების (იმუნოლოგია) კლინიკური დიაგნოსტიკისა და შეფასების საკითხები.
- ბ) აუტოიმუნური პათოლოგიით (რევმატოიდული ართრიტი) პაციენტის შეფასებისთვის ღირებული მორფოლოგიის (ანატომია, ჰისტოლოგია, პათოლოგია), დიაგნოსტიკის/კლინიკური შეფასებისა და მკურნალობის მეთოდები.
- გ) ოსტეოპოროზით პაციენტის შეფასებისთვის ღირებული მორფოლოგიის (ანატომია), ენდოკრინული კონტროლის (ბიოქიმია, ფიზიოლოგია), კლინიკური დიაგნოსტიკის და მენეჯმენტის (მკურნალობა) საკითხები.
- 6) სიცოცხლის კონტროლი:
- ა) ნერვული სისტემის პათოლოგიით (ეპილეფსია) პაციენტის შეფასებისთვის ღირებული მორფოლოგიის (ანატომია, პათოლოგია), ფუნქციის (ფიზიოლოგია) ასპექტები, პაციენტის დიაგნოსტიკის და ფარმაკოლოგიის საკითხები.
- ბ) ნერვული სისტემის პათოლოგიით პაციენტის (გაფანტული სკლეროზი, ტრავმა) მორფოლოგიის (ანატომია, პათოლოგია), ფუნქციის (ფიზიოლოგია) ასპექტები, კლინიკური შეფასების/მენეჯმენტის საკითხები.

გ) ფსიქიატრიული პრობლემით პაციენტის (შიზოფრენია) შეფასებისთვის ღირებული ფუნქციის (ფიზიოლოგია, ქცევითი მეცნიერებები) და ფარმაკოლოგიის საკითხები.

დ) ფსიქიატრიული პრობლემით (Personality disorders) პაციენტის შეფასებისთვის ღირებული მორფოლოგიის (ანატომია) და ფუნქციის (ფიზიოლოგია, ქცევით მეცნიერებები) საკითხები.

ამგვარად თემებზე ორიენტირებული I-II სემესტრი, სისტემებზე ორიენტირებული (III, IV, V სემესტრი) და ფუნქციებზე ორიენტირებული (VI სემესტრი). ქმნის სწავლების პირველ ეტაპს (საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების კურსს) (186 კრედიტი), რომელშიც ორგანიზებულია შემდეგი სამედიცინო დისციპლინები შემდეგი მოცულობით:

1. ადამიანის ანატომია 18 კრედიტი +3.25 (VI სემესტრი)* -21.25 კრედიტი
2. ჰისტოლოგია და ემბრიოლოგია 9.5 კრედიტი+1.5 – 11 კრედიტი
3. სამედიცინო ფიზიოლოგია 15.25 კრედიტი+3.25 – 18.5 კრედიტი
4. სამედიცინო ბიოქიმია 13.5 კრედიტი+0.75 – 14.25 კრედიტი
5. სამედიცინო ფარმაკოლოგია 14.5 კრედიტი+2.25 – 16.75 კრედიტი
6. სამედიცინო მიკრობიოლოგია 10 კრედიტი+1.5 – 11.5 კრედიტი
7. იმუნოლოგია 5.5 კრედიტი+1 – 6.5 კრედიტი
8. სამედიცინო გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია 7 კრედიტი +1 – 8 კრედიტი
9. პათოლოგია 23 კრედიტი +3.5 – 26.5 კრედიტი
10. ქცევითმეცნიერება 7 კრედიტი +1 – 8 კრედიტი
11. ბიოსტატისტიკა 2 კრედიტი
12. შინაგან დაავადებათა პროპედევტიკა პათოლოგიური პროცესების კლინიკური შეფასებით 18 კრედიტი
13. ბიოსამედიცინო ეთიკა 2.75 კრედიტი
14. სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 4 კრედიტი
15. კლინიკური უნარ-ჩვევები 2 კრედიტი
16. ტოპოგრაფიული ანატომია 2 კრედიტი
17. ელექტიური საგნები 1 კრედიტი
18. რადიოლოგია -4 კრედიტი
19. სამედიცინო საქმიანობის სამედიცინო ასპექტები -2 კრედიტი
20. საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია -6 კრედიტი

II. კლინიკური მედიცინის კურსი.

მას ეთმობა შემდეგი ოთხი სემესტრი. თითოეული სემესტრის სასწავლო მოცულობა კრედიტებში შეადგენს შესაბამისად 34, 34, 30, 33 კრედიტს. კლინიკური მედიცინის კურსის სასწავლო მოცულობა შეადგენს 131 კრედიტს, მათგან ელექტიური საგნების მოცულობა – 10 კრედიტს.

*VI სემესტრში დისციპლინის კრედიტი 8 სთ საკონტაქტოზე (ტუტორიალი/პრაქტიკული მეცადინეობა დისციპლინაში) გადაანგარიშებით დგინდება.

კლინიკური მედიცინის კურსში შეისწავლება:

1. შინაგანი სნეულებანი, რომელშიც შედის 42 კრედიტი:
 - ა) კარდიოლოგია 7 კრედიტი;
 - ბ) პულმონოლოგია 4 კრედიტი;
 - გ) გასტროენტეროლოგია 4 კრედიტი;
 - დ) ნეფროლოგია 3 კრედიტი;
 - ე) ენდოკრინოლოგია და მეტაბოლიზმი 4 კრედიტი;
 - ვ) რევმატოლოგია და სისტემური დაავადებები 3 კრედიტი;
 - ზ) ჰემატოლოგია 3 კრედიტი;
 - თ) ალერგოლოგია და კლინიკური იმუნოლოგია 3 კრედიტი;
 - ი) კლინიკური ფარმაკოლოგია 4 კრედიტი;
 - კ) შინაგან დაავადებათა დიფერენციული დიაგნოსტიკა და მკურნალობა 7 კრედიტი.
2. ქირურგია, რომელშიც შედის 37 კრედიტი:
 - ა) ზოგადი ქირურგია 8 კრედიტი;
 - ბ) კერძო ქირურგია 13 კრედიტი;
 - გ) ონკოლოგია 3 კრედიტი;
 - დ) უროლოგია 3 კრედიტი;
 - ე) ტრავმატოლოგია და ორთოპედია 3 კრედიტი;
 - ვ) ოტორინოლარინგოლოგია 3 კრედიტი;
 - ზ) ოფთალმოლოგია 3 კრედიტი;
3. მენ-გინეკოლოგია 12 კრედიტი.
4. პედიატრია 8 კრედიტი.
5. ინფექციური სნეულებანი 7 კრედიტი.
6. ნერვული სნეულებანი 7 კრედიტი.
7. ფსიქიატრია 6 კრედიტი.
8. დერმატოვენეროლოგია 4 კრედიტი.
9. პროფილაქტიკური მედიცინა ეკოლოგიით 4 კრედიტი.
10. სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 4 კრედიტი.
11. ელექტიური საგნები 4 კრედიტი.

III ზოგადი სპეციალიზაციის კურსი.

მას ეთმობა ერთი სასწავლო წელი (VI კურსი). სტუდენტები ზოგად სპეციალიზაციას გადიან შემდეგ კლინიკურ დისციპლინებში:

1. შინაგანი სნეულებანი - 19 კრედიტი:
 - 1.1. შინაგან სნეულებათა სინდრომული დიფერენციული დიაგნოსტიკა და გადაუდებელი თერაპია - 14 კრედიტი;
 - 1.2. რაციონალური ფარმაკოთერაპია - 3 კრედიტი;
 - 1.3. ფიზიოთერაპია და რეაბილიტაცია - 2 კრედიტი.
2. ქირურგიული სნეულებანი - 11 კრედიტი:
 - 2.1. ბავშვთა ქირურგია - 3 კრედიტი;
 - 2.2. ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია - 3 კრედიტი;
 - 2.3. გადაუდებელი ქირურგია - 5 კრედიტი.
3. მენ-გინეკოლოგია - 7 კრედიტი.
4. პედიატრია - 7 კრედიტი.
5. ინფექციური სნეულებანი - 3 კრედიტი.

6. ნერვული სნეულებანი 3 კრედიტი.
7. კლინიკური უნარ-ჩვევები 4 კრედიტი
8. VI კურსზე ელექტიური საგნების მოცულობა შეადგენს 6 კრედიტს.

პრაქტიკული საექიმო საქმიანობის სრულყოფის, ავადმყოფის სიტუაციური კლინიკური მდგომარეობის დროული დიაგნოსტიკისა და რაციონალური მკურნალობის უზრუნველყოფის მეთოდების დაუფლების მიზნით კლინიკური სასწავლო კურსები (საგნები) ისწავლება ეტაპობრივად, მაგალითად: შინაგანი სნეულებების სწავლება თანდათან ღრმავდება ვერტიკალურად, ქვემოდან ზემოთ: პროპედევტიკა (დიაგნოსტიკის მეთოდები, II – III კურსები), კერძო პათოლოგია (ნოზოლოგიათა ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკა, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა, მკურნალობის პრინციპები) – III – IV კურსი, შინაგან სნეულებათა დიფერენციული დიაგნოსტიკა და მკურნალობა – V კურსი, შინაგან სნეულებათა სინდრომული დიფერენციული დიაგნოსტიკა და ურგენტული თერაპია – VI კურსი. VI კურსის პროგრამაში ჩართულია ფარმაცოთერაპიის პრობლემური სწავლების ციკლი, რომელიც შემოთავაზებულია ჰოლანდიის ქ. გრონინგენის უნივერსიტეტის მიერ (გრონინგენის მეთოდი). მისი მიზანია მომავალ ექიმს გამოუმუშაოს კონკრეტული ავადმყოფისთვის ფარმაცოლოგიური პრეპარატის შერჩევის პრაქტიკული ჩვევა და შეაჩვიოს სტუდენტი ლოგიკური აზროვნების საფეხურებრივ პროცესს დიაგნოზიდან ავადმყოფის მკურნალობამდე. ციკლის ბოლოს ტარდება ობიექტური კლინიკური გამოცდა - OSCE (Objective Structured Clinical Examination), რომლის დროსაც თითოეული სტუდენტი გვევლინება ხან პაციენტის, ხან ექიმისა და, ხან კი, ცოდნის დონის შემფასებლის როლში.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე სწავლების I ეტაპზე (სწავლების I-III კურსი: საბაზისო სამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებების ეტაპი) სწავლების ორგანიზაციისა და ფორმატში კლინიკური სცენარების გამოყენებით შეტანილი ცვლილებები.

კლინიკურ პრაქტიკაზე დაფუძნებული სცენარების მეშვეობით სწავლების პროცესი ახდენს მყარი ცოდნის და იმ უნარ-ჩვევების ინტეგრირებას, რასაც ითხოვს კლინიკური საქმიანობა. მედიცინის სწავლებაში ამ სტილის აღიარებული ვარიანტი პრობლემაზე-დაფუძნებული სწავლებაა (PBL), რაც აკავშირებს სწავლებას, გადაწყვეტილების მიღების განვითარებასთან და პრობლემის გადაჭრის უნარებთან. სტუდენტები ტუტორთან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ მუშაობენ, განიხილავენ შემთხვევას, აყალიბებენ შესაძლებელ დიაგნოზებს, გამოკვლევებსა და მკურნალობას, სახავენ სასწავლო ამოცანებს. პაციენტის ე. წ. წრფივ ქეისებთან ერთად (paper-based) პროგრამის ნაწილში მიწოდებული იქნება ინტერაქტიული, ე. წ. ვირტუალური პაციენტის შემთხვევები, რაც სტუდენტებს რეალისტური გადაწყვეტილების და მიღებული გადაწყვეტილების შემოწმების საშუალებას მისცემს პაციენტისთვის (რეალური) ზიანის მიუყენებლად. საზოგადო მიზანია რეალურ პრაქტიკასთან უფრო ადაპტირებული, პერსონალიზირებული, კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლების სტილის შეთავაზება.

სტუდენტის კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება წარმოებს კლინიკური უნარ-ჩვევების ცალკეული სასწავლო კურსებისა (5 სასწავლო კურსი, ჯამში 7 კრედიტი) და ყველა კლინიკური სასწავლო კურსის ფარგლებში მათთვის გამოყოფილი შესაბამისი კრედიტ-საათების საფუძველზე: კარდიოლოგია - 1.75 კრედიტი, ენდოკრინოლოგია და მეტაბოლიზმი - 1 კრედიტი, დერმატოვენეროლოგია - 1 კრედიტი, სამედიცინო

რენტგენოლოგია და რადიოლოგია - 1 კრედიტი, ზოგადი ქირურგია - 2 კრედიტი, პულმონოლოგია - 1 კრედიტი, ნეფროლოგია - 0.75 კრედიტი, გასტროენტეროლოგია - 1 კრედიტი, ჰემატოლოგია - 0.75 კრედიტი, კერძო ქირურგია - 3.25 კრედიტი, ონკოლოგია - 1 კრედიტი, უროლოგია - 0.75 კრედიტი, რევმატოლოგია და სისტემური დაავადებები - 0.75 კრედიტი, ალერგოლოგია და კლინიკური იმუნოლოგია - 0.75 კრედიტი, პედიატრია - 5.5 კრედიტი, ნერვული სნეულებანი - 3.25 კრედიტი, მეანობა და გინეკოლოგია - 6.5 კრედიტი, კლინიკური ფარმაკოლოგია - 1 კრედიტი, ინფექციური დაავადებები - 3.25 კრედიტი, ფსიქიატრია - 1.5 კრედიტი, ოტორინოლარინგოლოგია - 0.75 კრედიტი, ოფთალმოლოგია - 0.75 კრედიტი, შინაგან დაავადებათა დიფერენციული დიაგნოსტიკა და მკურნალობა - 1.75 კრედიტი, ორთოპედია და ტრავმატოლოგია - 0.75 კრედიტი, შინაგან სნეულებათა სინდრომული დიფერენციული დიაგნოსტიკა და გადაუდებელი თერაპია - 7 კრედიტი, ფიზიოთერაპია და რეაბილიტაცია - 1 კრედიტი, რაციონალური ფარმაკოთერაპია - 1.5 კრედიტი, ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია - 1.5 კრედიტი, ბავშვთა ქირურგია - 1.5 კრედიტი, გადაუდებელი ქირურგია - 2.5 კრედიტი, ელექტიური საგნები - 3.25 კრედიტი. კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება იწყება სწავლების I ეტაპზე (II-III კურსი), სადაც სასწავლო კვირა (მოდული PBL-ის მონაწილეობით) უმრავლესობაში შედის ზოგადი კლინიკური გამოცდილების (ამბულატორიულ ან ჰოსპიტალურ პრაქტიკაზე დაფუძნებული) შექმნა, ჯამში არა ნაკლებ 3 კრედიტის მოცულობით. ამგვარად, ჯამში კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლაზე განკუთვნილია 70 კრედიტი.

სტუდენტის სამეცნიერო უნარ-ჩვევების გამომუშავება ხორციელდება სამეცნიერო კვლევის საფუძვლების 5 სასწავლო კურსის მეშვეობით, რომლებიც ჯამში შეადგენენ 10 კრედიტს. მათ შორის, 6 კრედიტი ეთმობა თეორიულ ასპექტებს (სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 1, 2, 3), ხოლო დანარჩენი 4 - სამეცნიერო ნაშრომების შესრულებას.

სწავლებაში გამოიყენება დარგის ავტორიტეტული, წამყვანი უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში/უნივერსიტეტებში გამოყენებული/რეკომენდირებული ლიტერატურა და სახელმძღვანელოები. სასწავლო პროცესს წარმართავენ რესპუბლიკის წამყვანი სპეციალისტები.

სასწავლო პროცესში გამოიყენება ექიმთა სპეციალიზაციის ქართული ფონდის მიერ შექმნილი და აშშ-დან მიღებული სამედიცინო ბიბლიოთეკა, ამერიკის ექიმთა ასოციაციის ვიდეო-აუდიოთეკა, ფართოდ გამოიყენება კომპიუტერული სწავლების საშუალებები (კომპიუტერული კლასები, ინტერნეტი), პედაგოგთა სასწავლო თვალსაჩინოებები (პრეპარატები, სლაიდები, ატლასები და სხვა). ასევე უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო ელექტრონულ ბიბლიოთეკების ბაზებთან წვდომა, რაც მნიშვნელოვნად ეხმარება სტუდენტებს სამეცნიერო კვლევისათვის ღირებული ინფორმაციის მოპოვებაში.

სწავლების პროცესში გამოიყენებულია შემდეგი ფორმები:

- ინტერაქტიური ლექციები და სემინარები.
- კლინიკურ გარემოში სწავლება (bedside teaching.)
- სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენება.

- PBL სწავლება - ამ პროგრამაში სწავლების ეს ფორმატი პროგრამულ („საბაზისო სამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებათა ეტაპი“) დონეზე გამოიყენება.
- პაციენტისა და ექიმის როლების შესრულება.
- ლაბორტორიული სწავლება.
- პრეზენტაციები.
- სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა.

სწავლის პროცესში სტუდენტი მუშაობს ზედამხედველობის ქვეშ აიეტის შესაბამის კლინიკურ ბაზებზე და იძენს შემდეგ კლინიკურ გამოცდილებას:

- მწვავე დაავადებების მქონე პაციენტების მკურნალობა შემთხვევის ადგილზე და გადაუდებელი მკურნალობის განყოფილებაში;
- შინაგანი დაავადებების მკურნალობა;
- ქირურგიული პაციენტების მკურნალობა;
- მუშაობა პირველადი ჯანდაცვის რგოლში;
- ხანდაზმულთა მკურნალობა;
- ბავშვების მკურნალობა;
- ფსიქიატრიული პაციენტების მკურნალობა;
- გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, ფიზიოლოგიური მშობიარობის მართვა;
- ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში კრიტიკული მდგომარეობების მკურნალობა;
- სხვადასხვა პროფილის დაავადებების მკურნალობა (კარდიოლოგია, ნეფროლოგია, პულმონოლოგია და სხვ);
- ანესთეზიოლოგია;
- რეაბილიტაციური მედიცინა;
- სხვადასხვა პროფილის ქირურგიული მდგომარეობების მკურნალობა (უროლოგია, ტრავმატოლოგია).

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 11 კრედიტის ოდენობით ელექტიური სასწავლო კურსებისა და, აგრეთვე, კლინიკური მეცნიერებების სწავლების პერიოდში კლინიკური სასწავლო ბაზების (თბილისის, საჩხერის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება, ლიტვაში ქ. კლაიპედას) არჩევანის გამჭვირვალობას.

სასწავლო გეგმა

სწავლების პირველი წელი																		
No.	სასწავლო კურსის/საგნობრივი ბლოკის კოდი	სასწავლო კურსის/საგნობრივი ბლოკის სახელწოდება	კრედიტების და საათობრივი (ასტრონომიულ საათებში) დატვირთვის რაოდენობა სწავლების/სწავლის ფორმებისა და სემესტრების მიხედვით													გამოცდის ფორმა	გამოცდაზე პასუხისმგებელი	
			I						II									
			კრედიტი	საერთო რ-ბა	ლექცია	PBL	სემინარი	პრაქტიკული	დამოუკიდებელი	კრედიტი	საერთო რ-ბა	ლექცია	PBL	სემინარი				
I	UGE 110	შესავალი სამედიცინო მეცნიერებებში 1	6	180	24			72	84								შტ	სკბ, შც
1	UGE 102.1	ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია 1	3	90	12			36	42								შტ	სკბ, შც
2	UGE 103.1	სამედიცინო ბიოქიმია 1	3	90	12			36	42								შტ	სკბ, შც
II	UGE 111	შესავალი სამედიცინო მეცნიერებებში 2	11	330	44			132	154								შტ	სკბ, შც
1	UGE 101.1	ადამიანის ანატომია 1	5	150	20			60	70								შტ	სკბ, შც
2	UGE 103.2	სამედიცინო ბიოქიმია 2	3	90	12			36	42								შტ	სკბ, შც
3	UGE 104.1	სამედიცინო გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია 1	3	90	12			36	42								შტ	სკბ, შც
III	UGE 112	შესავალი სამედიცინო მეცნიერებებში 3	11	330	44			132	154								შტ	სკბ, შც
1	UGE 108	იმუნოლოგია	5.5	165	22			66	77								შტ	სკბ, შც
2	UGE 107.1	სამედიცინო მიკრობიოლოგია 1	1	30	4			12	14								შტ	სკბ, შც
3	UGE 109.1	პათოლოგია 1	4.5	135	18			54	63								შტ	სკბ, შც
IV	UGE 201	ბიოსამედიცინო ეთიკა	2	60	8			24	28								ზ	სკბ
V	UGE 113	შესავალი სამედიცინო მეცნიერებებში 4								10	300	40			120	140	შტ	სკბ, შც
1	UGE 102.2	ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია 2						1	30	4				12	14		შტ	სკბ, შც
2	UGE 103.3	სამედიცინო ბიოქიმია 3						3	90	12				36	42		შტ	სკბ, შც
3	UGE 104.2	სამედიცინო გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია 2						1.5	45	6				18	21		შტ	სკბ, შც
4	UGE 106.1	სამედიცინო ფარმაკოლოგია 1						4.5	135	18				54	63		შტ	სკბ, შც
VI	UGE 114	შესავალი სამედიცინო მეცნიერებებში 5								9	270	36			108	126	შტ	სკბ, შც
1	UGE 101.2	ადამიანის ანატომია 2						6.5	195	26				78	91		შტ	სკბ, შც
2	UGE 104.3	სამედიცინო გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია 3						2.5	75	10				30	35		შტ	სკბ, შც
VIII	UGE 115	შესავალი სამედიცინო მეცნიერებებში 6								9	270	36			108	126	შტ	სკბ, შც
1	UGE 107.2	სამედიცინო მიკრობიოლოგია 2						4	120	16				48	56		შტ	სკბ, შც
2	UGE 105.1	სამედიცინო ფიზიოლოგია 1						5	150	20				60	70		შტ	სკბ, შც
VIII	UGE 502.1	სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 1								2	60	12			20	28	ზ	სკბ
		სულ:	30	900	120			360	420	30	900	124			356	420		

სწავლების მეორე წელი																		
No.	სასწავლო კურსის/საგნობრივი ბლოკის კოდი	სასწავლო კურსის/საგნობრივი ბლოკის სახელწოდება	კრედიტების და საათობრივი (ასტრონომიულ საათებში) დატვირთვის რაოდენობა სწავლების/სწავლის ფორმებისა და სემესტრების მიხედვით												გამოცდის ფორმა	გამოცდაზე პასუხისმგებელი		
			III						IV									
			კრედიტი	საერთო რ-ბა	ლექცია	PBL	სემინარი	პრაქტიკული	დამოუკიდებელი	კრედიტი	საერთო რ-ბა	ლექცია	PBL	სემინარი			პრაქტიკული	დამოუკიდებელი
I	UGE 116-PBL	მვალ-კუნთოვანი სისტემა და კლინიკური დიაგნოსტიკის საფუძვლები-PBL	7.5	225	27	20		75	103								შტ	სკბ, შც
1	UGE 102.3-PBL	ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია 3-PBL	0.5	15	2	4		6	3								შტ	სკბ, შც
2	UGE 103.4-PBL	სამედიცინო ბიოქიმია 4-PBL	0.5	15	3			6	6								შტ	სკბ, შც
3	UGE 105.2-PBL	სამედიცინო ფიზიოლოგია 2-PBL	0.75	22.5	4	4		6	8.5								შტ	სკბ, შც
4	UGE 109.2-PBL	პათოლოგია 2-PBL	2	60	9	8		15	28								შტ	სკბ, შც
5	UGE 302.1-PBL	შინაგან დაავადებათა პროპედევტიკა პათოლოგიური პროცესების კლინიკური შეფასებით 1-PBL	3	90	9	4		30	47								შტ	სკბ, შც
6	UGE 502.2.1-PBL	სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 2.1-PBL	0.5	15				8	7									
7	UGE 201.1-PBL	ბიოსამედიცინო ეთიკა 2.1-PBL	0.25	7.5				4	3.5									
II	UGE 117-PBL	სისხლმზადი სისტემა და ინფექცია-PBL	12.25	367.5	41	20		138	168.5								შტ	სკბ, შც
1	UGE 102.4-PBL	ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია 4-PBL	0.5	15	3			5	7								შტ	სკბ, შც
2	UGE 103.5	სამედიცინო ბიოქიმია 5	0.5	15	2			6	7								შტ	სკბ, შც
3	UGE 107.3-PBL	სამედიცინო მიკრობიოლოგია 3-PBL	4	120	15	12		36	57								შტ	სკბ, შც
4	UGE 106.2	სამედიცინო ფარმაკოლოგია 2	0.5	15	2			6	7								შტ	სკბ, შც
5	UGE 105.3	სამედიცინო ფიზიოლოგია 3	0.5	15	2			6	7								შტ	სკბ, შც
6	UGE 109.3-PBL	პათოლოგია 3-PBL	3	90	13	4		35	38								შტ	სკბ, შც

7	UGE 302.2-PBL	შინაგან დაავადებათა პროპედევტიკა პათოლოგიური პროცესების კლინიკური შეფასებით 2-PBL	2	60	4	4		24	28									შტ	სკბ, შც
8	UGE 502.2-PBL	სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 2.2-PBL	0.7	22,5				12	10.5										
9	UGE 201.2.2-PBL	ბიოსამედიცინო ეთიკა 2.2-PBL	0.5	15				8	7										
III	UGE 118-PBL	გულ-სისხლძარღვთა სისტემა-PBL	12.25	367.5	43	16		138	170.5									შტ	სკბ, შც
1	UGE 101.3-PBL	ადამიანის ანატომია 3-PBL	2	60	7	4		21	28									შტ	სკბ, შც
2	UGE 102.5	ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია 5	0.5	15	2			6	7									შტ	სკბ, შც
3	UGE 105.4-PBL	სამედიცინო ფიზიოლოგია 4-PBL	2.5	75	11	4		26	34									შტ	სკბ, შც
4	UGE 106.3	სამედიცინო ფარმაკოლოგია 3	2	60	8			24	28									შტ	სკბ, შც
5	UGE 109.4-PBL	პათოლოგია 4-PBL	1.5	45	6	4		14	21									შტ	სკბ, შც
6	UGE 302.3-PBL	შინაგან დაავადებათა პროპედევტიკა პათოლოგიური პროცესების კლინიკური შეფასებით 3-PBL	3	90	9	4		35	42									შტ	სკბ, შც
7	UGE 502.3-PBL	სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 2.3-PBL	0.75	22.5				12	10.5									ზ	სკბ
		სულ	32	960	111	56		351	442										
IV	UGE 119-PBL	სასუნთქი სისტემა-PBL								9,5	285	36	8		109	132	შტ	სკბ, შც	
1	UGE 101.4-PBL	ადამიანის ანატომია 4-PBL								1	30	4	4		8	14	შტ	სკბ, შც	
2	UGE 102.6	ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია 6								0.5	15	2			6	7	შტ	სკბ, შც	
3	UGE 105.5	სამედიცინო ფიზიოლოგია 5								1.5	45	6			18	21	შტ	სკბ, შც	
4	UGE 106.4	სამედიცინო ფარმაკოლოგია 4								2.5	75	10			30	35	შტ	სკბ, შც	
5	UGE 109.5	პათოლოგია 5								2	60	8			24	28	შტ	სკბ, შც	
6	UGE 302.4-PBL	შინაგან დაავადებათა პროპედევტიკა პათოლოგიური პროცესების კლინიკური შეფასებით 4-PBL								2	60	6	4		23	27	შტ	სკბ, შც	
V	UGE 120-PBL	საჭმლის მომნელებელი სისტემა და ნუტრიცია-PBL								10.5	315	38	8	6	115	148	შტ	სკბ, შც	
1	UGE 101.5-PBL	ადამიანის ანატომია 5								1.5	45	5	4	3	9	24	შტ	სკბ, შც	
2	UGE 102.7	ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია 7								0.5	15	2			6	7	შტ	სკბ, შც	
3	UGE 103.6-PBL	სამედიცინო ბიოქიმია 6								1.5	45	6		3	17	19	შტ	სკბ, შც	
4	UGE 105.6-	სამედიცინო ფიზიოლოგია 6								1	30	3	4		9	14	შტ	სკბ, შც	

	PBL																	
5	UGE 106.5	სამედიცინო ფარმაცოლოგია 5								0.5	15	2			6	7	შტ	სკბ, შც
6	UGE 107.4	სამედიცინო მიკრობიოლოგია 4								0.5	15	2			6	7	შტ	სკბ, შც
7	UGE 109.6	პათოლოგია 6								3	90	12			36	42	შტ	სკბ, შც
8	UGE 302.5-PBL	შინაგან დაავადებათა პროპედევტიკა პათოლოგიური პროცესების კლინიკური შეფასებით 5								2	60	6			26	28	შტ	სკბ, შც
VI	UGE 121-PBL	ნერვული სისტემა და კანი-PBL								8	240	29	16		82	113	შტ	სკბ, შც
1	UGE 106.6-PBL	სამედიცინო ფარმაცოლოგია 6-PBL								2.5	75	11	4		25	35	შტ	სკბ, შც
2	UGE 109.7	პათოლოგია 7-PBL								2	60	8	8		15	29	შტ	სკბ, შც
3	UGE 202.1	ქცევამეცნიერება 1-PBL								2.5	75	8	4		28	35	შტ	სკბ, შც
4	UGE 302.6	შინაგან დაავადებათა პროპედევტიკა პათოლოგიური პროცესების კლინიკური შეფასებით 6								1	30	2			14	14	შტ	სკბ, შც
VII	UGE 203	ბიოსტატისტიკა								2	60	8			24	28	შტ	სკბ, შც
VIII	UGE 503.1	კლინიკური უნარ-ჩვევები 1								1	30				8	22	ზ	სკბ
IX		ელექტიური კურსები								1	30				16	14	ზ	სკბ
		სულ:								32	960	111	32	6	354	457		

სწავლების მესამე წელი																			
No.	სასწავლო კურსის/საგნობრივი ბლოკის კოდი	სასწავლო კურსის/საგნობრივი ბლოკის სახელწოდება	კრედიტების და საათობრივი (ასტრონომიულ საათებში) დატვირთვის რაოდენობა სწავლების/სწავლის ფორმებისა და სემესტრების მიხედვით													გამოცდის ფორმა	გამოცდაზე პასუხისმგებელი		
			V							VI									
			კრედიტი	საერთო რ-ბა	ლექცია	PBL	სემინარი	პრაქტიკული	დამოუკიდებელი	კრედიტი	საერთო რ-ბა	ლექცია	PBL	სემინარი	პრაქტიკული			დამოუკიდებელი	
I	UGE 122-PBL	საშარდე სისტემა-PBL	7	210	27	4	3	77	99									შტ	სკბ, შც
1	UGE 101.6-PBL	ადამიანის ანატომია 6-PBL	1	30	4			12	14									შტ	სკბ, შც
2	UGE 102.8-PBL	ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია 8-PBL	0.5	15	2			6	7									შტ	სკბ, შც
3	UGE 105.7-PBL	სამედიცინო ფიზიოლოგია 7-PBL	2	60	7	4	3	17	29									შტ	სკბ, შც
4	UGE 109.8	პათოლოგია 8	1.5	45	6			18	21									შტ	სკბ, შც

5	UGE 302.7-PBL	შინაგან დაავადებათა პროპედევტიკა პათოლოგიური პროცესების კლინიკური შეფასებით 7-PBL	2	60	8			24	28								შტ	სკბ, შც
II	UGE 123-PBL	რეპროდუქციული სისტემა-PBL	7	210	25	12		73	100								შტ	სკბ, შც
1	UGE 101.7	ადამიანის ანატომია 7	0.5	15	2			6	7								შტ	სკბ, შც
2	UGE 102.9-PBL	ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია 9-PBL	1.5	45	5	4		14	22								შტ	სკბ, შც
3	UGE 105.8	სამედიცინო ფიზიოლოგია 8	1	30	4			12	14								შტ	სკბ, შც
4	UGE 107.5	სამედიცინო მიკრობიოლოგია 5	0.5	15	2			6	7								შტ	სკბ, შც
5	UGE 109.9-PBL	პათოლოგია 9-PBL	2.5	75	10	8		20	37								შტ	სკბ, შც
6	UGE 302.8-PBL	შინაგან დაავადებათა პროპედევტიკა პათოლოგიური პროცესების კლინიკური შეფასებით 8-PBL	1	30	2			15	13								შტ	სკბ, შც
III	UGE 124-PBL	ენდოკრინული სისტემა-PBL	9.5	285	33	8	6	103	135								შტ	სკბ, შც
1	UGE 101.8	ადამიანის ანატომია 8	0.5	15	2			6	7								შტ	სკბ, შც
2	UGE 102.10	ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია 10	1	30	4			12	14								შტ	სკბ, შც
3	UGE 103.7-PBL	სამედიცინო ბიოქიმია 7-PBL	2	60	7	4	3	15	31								შტ	სკბ, შც
4	UGE 105.9-PBL	სამედიცინო ფიზიოლოგია 9-PBL	1	30	3	4	3	7	13								შტ	სკბ, შც
5	UGE 106.7	სამედიცინო ფარმაკოლოგია 7	2	60	8			24	28								შტ	სკბ, შც
6	UGE 109.10	პათოლოგია 10	1	30	4			12	14								შტ	სკბ, შც
7	UGE 302.9-PBL	შინაგან დაავადებათა პროპედევტიკა პათოლოგიური პროცესების კლინიკური შეფასებით 9-PBL	2	60	5			27	28								შტ	სკბ, შც
IV	UGE 202.2	ქცევამეცნიერება 2	4.5	135	16	8		48	63								შტ	სკბ, შც
V	UGE 501	ტოპოგრაფიული ანატომია	2	60	8			24	28								შტ	სკბ, შც
VI	UGE 503.2	კლინიკური უნარ-ჩვევები 2	1	30				8	22								ზ	სკბ
	სულ		31	930	109	32	9	333	447									
VII	UGE.PBL 110.0 LCY	სიცოცხლის ციკლი								3	90		12		33	45		
VII	UGE.PBL 120.0 LPR	სიცოცხლის დაცვა								3	90		12		33	45		
IX	UGE.PBL 130.0 LSU	სიცოცხლის უზრუნველყოფა								3	90		12		33	45		
X	UGE.PBL 140.0 LMA	სიცოცხლის შენარჩუნება								3	90		12		33	45		
XI	UGE.PBL 150.0 LST	სიცოცხლის სტრუქტურა								3	90		12		33	45		
XII	UGE.PBL 160.0 LCO	სიცოცხლის კონტროლი								4	120		16		44	60		
XIII	UGE 317	სამედიცინო რენტგენოლოგია და რადიოლოგია								4	120	16			48	56	შტ	სკბ, შც
XIV	UGE 204	საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია								6	180	24			72	84	შტ	სკბ, შც
XV	UGE 206	სამედიცინო საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები								2	60	8			24	28	ზ	სკბ
		სულ:								31	930	48	76		353	453		

სწავლების მეოთხე წელი																		
No.	სასწავლო კურსის/საგნობრივი ბლოკის კოდი	სასწავლო კურსის/საგნობრივი ბლოკის სახელწოდება	კრედიტების და საათობრივი (ასტრონომიულ საათებში) დატვირთვის რაოდენობა სწავლების/სწავლის ფორმებისა და სემესტრების მიხედვით													გამოდის ფორმა	გამოცდაზე პასუხისმგებელი	
			VII						VIII									
			კრედიტი	საერთო რ-ბა	ლექცია	PBL	სემინარი	პრაქტიკული	დამოუკიდებელი	კრედიტი	საერთო რ-ბა	ლექცია	PBL	სემინარი	პრაქტიკული			დამოუკიდებელი
1	UGE 303	კარდიოლოგია	7	210	28			84	98								შტ	სკბ, შც
2	UGE 304	პულმონოლოგია	4	120	16			48	56								შტ	სკბ, შც
3	UGE 305	ნეფროლოგია	3	90	12			36	42								შტ	სკბ, შც
4	UGE 351	ზოგადი ქირურგია	8	240	32			96	112								შტ	სკბ, შც
5	UGE 309	ჰემატოლოგია	3	90	12			36	42								შტ	სკბ, შც
6	UGE 353	ონკოლოგია	4	120	16			48	56								შტ	სკბ, შც
7	UGE 354	უროლოგია	3	90	12			36	42								შტ	სკბ, შც
8		ელექტიური საგნები	1	30				12	18								ზ	სკბ
9	UGE 502.3	სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 3	2	60	12			20	28								ზ	სკბ
10	UGE 308	რევმატოლოგია და სისტემური დაავადებები								3	90	12			36	42	შტ	სკბ, შც
11	UGE 310	ალერგოლოგია და კლინიკური იმუნოლოგია								3	90	12			36	42	შტ	სკბ, შც
12	UGE 314.1	პედიატრია 1								8	240	32			96	112	შტ	სკბ, შც
13	UGE 316.1	ნერვული სნეულებანი 1								7	210	28			84	98	შტ	სკბ, შც
14	UGE 358.1	მენობა და გინეკოლოგია 1								7	210	28			84	98	შტ	სკბ, შც
15	UGE 307	ენდოკრინოლოგია და მეტაბოლიზმი								4	120	16			48	56	შტ	სკბ, შც
16	UGE 503.3	კლინიკური უნარ-ჩვევები 3								1	30				8	22	ზ	სკბ
სულ:			35	1050	140			416	494	33	990	128			412	450		

სწავლების მეხუთე წელი																		
No.	სასწავლო კურსის/საგნობრივი ბლოკის კოდი	სასწავლო კურსის/საგნობრივი ბლოკის სახელწოდება	კრედიტების და საათობრივი (ასტრონომიულ საათებში) დატვირთვის რაოდენობა სწავლების/სწავლის ფორმებისა და სემესტრების მიხედვით												გამოცდის ფორმა	გამოცდაზე პასუხისმგებელი		
			IX						X									
			კრედიტი	საერთო რ-ბა	ლექცია	PBL	სემინარი	პრაქტიკული	დამოუკიდებელი	კრედიტი	საერთო რ-ბა	ლექცია	PBL	სემინარი			პრაქტიკული	დამოუკიდებელი
1	UGE 311	კლინიკური ფარმაკოლოგია	4	120	16			48	56								შტ	სკბ, შც
2	UGE 352.1	კერძო ქირურგია 1	7	210	28			84	98								შტ	სკბ, შც
3	UGE 318	ფსიქიატრია	6	180	24			72	84								შტ	სკბ, შც
4	UGE 356	ოტორინოლარინგოლოგია	3	90	12			36	42								შტ	სკბ, შც
5	UGE 357	ოფთალმოლოგია	3	90	12			36	42								შტ	სკბ, შც
6	UGE 358.2	მეანობა და გინეკოლოგია 2	5	150	20			60	70								შტ	სკბ, შც
7	UGE 306	გასტროენტეროლოგია	4	120	16			48	56								შტ	სკბ, შც
8		სამეცნიერო ნაშრომის შესრულება	2	60				8	52								ზ	სკბ
9	UGE 313	დერმატოვენეროლოგია								4	120	16			48	56	შტ	სკბ, შც
10	UGE 315.1	ინფექციური დაავადებები 1								7	210	28			84	98	შტ	სკბ, შც
11	UGE 205	პროფილაქტიკური მედიცინა ეკოლოგიით								4	120	16			48	56	შტ	სკბ, შც
12	UGE 312	შინაგან დაავადებათა დიფერენციული დიაგნოსტიკა და მკურნალობა								7	210	28			84	98	შტ	სკბ, შც
13	UGE 352.2	კერძო ქირურგია 2								6	180	24			72	84	შტ	სკბ, შც
14	UGE 355	ორთოპედია და ტრავმატოლოგია								3	90	12			36	42	შტ	სკბ, შც
		სამეცნიერო ნაშრომის შესრულება								2	60				8	52	ზ	სკბ
სულ:			34	1020	128			392	500	33	990	124			380	486		

სწავლების მეექვსე წელი																	
No.	სასწავლო კურსის/საგნობრივი ბლოკის კოდი	სასწავლო კურსის/საგნობრივი ბლოკის სახელწოდება	კრედიტების და საათობრივი (ასტრონომიულ საათებში) დატვირთვის რაოდენობა სწავლების/სწავლის ფორმებისა და სემესტრების მიხედვით													გამოცდის ფორმა	გამოცდაზე პასუხისმგებელი
			XI						XII								
			კრედიტი	სთ-ის საერთო რ-ბა	ლექცია	PBL	სემინარი	პრაქტიკული	დამოუკიდებელი	კრედიტი	საერთო რ-ბა	ლექცია	PBL	სემინარი	პრაქტიკული		
1	UGE 402.1	შინაგან სნეულებათა სინდრომული დიფერენციული დიაგნოსტიკა და გადაუდებელი თერაპია 1	7	210				112	98							შტ	სკბ, შც
2	UGE 403	ფიზიოთერაპია და რეაბილიტაცია	2	60				32	28							შტ	სკბ, შც
3	UGE 404	რაციონალური ფარმაკოთერაპია	3	90				48	42							შტ	სკბ, შც
4	UGE 405	ნერვული სნეულებანი 2	3	90				48	42							შტ	სკბ, შც
5	UGE 407	პედიატრია 2	7	210				112	98							შტ	სკბ, შც
6	UGE 451	ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია	3	90				48	42							შტ	სკბ, შც
7	UGE 452	ბავშვთა ქირურგია	3	90				48	42							შტ	სკბ, შც
8	UGE 503.4	კლინიკური უნარჩვევების კურსი 4	2	60				40	20							შტ	სკბ, შც
9	UGE 402.2	შინაგან სნეულებათა სინდრომული დიფერენციული დიაგნოსტიკა და გადაუდებელი თერაპია 2								7	210			112	98	შტ	სკბ, შც
10	UGE 406	ინფექციური დაავადებები 2								3	90			48	42	შტ	სკბ, შც
11	UGE 453	გადაუდებელი ქირურგია								5	150			80	70	შტ	სკბ, შც
12	UGE 454	მეანობა და გინეკოლოგია 3								7	210			112	98	შტ	სკბ, შც
13	UGE 503.5	კლინიკური უნარჩვევების კურსი 5								2	60			40	20	შტ	სკბ, შც
14		ელექტიური საგნები								6	180			96	84	ზ	სკბ
სულ:			30	900	0			488	412	30	900	0		488	412		

შტ - გამოცდის შერეული ტიპი: ზეპირი და ტესტური
 ზ - ზეპირი გამოცდა
 ტ - ტესტური გამოცდა
 სკბ - სასწავლო კურსის/კურსების ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები
 შც - შეფასების ცენტრი

სწავლის შედეგები

სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტების თანახმად, ბოლონის პროცესში მონაწილე ქვეყნებისთვის საბაზისო სამედიცინო განათლების კომპეტენციები უნდა განისაზღვროს ტუნინგის პროექტით მოწოდებული კომპეტენციების საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, შესაბამისობაშია ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. დარგისათვის შესაბამისი კომპეტენტურობა მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორცაა:

- ცოდნა და გაცნობიერება საბაზისო, კლინიკური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების, მათ შორის, სამედიცინო პრაქტიკასთან დაკავშირებული ისეთი სფეროების, როგორცაა საზოგადოებრივი ჯანდაცვა და სამედიცინო ეთიკა.
- კლინიკურ და სხვა უნარებს დაკავშირებულს დიაგნოზის დასმასთან, პრაქტიკულ პროცედურებთან, კომუნიკაციებთან, დაავადებათა მკურნალობასა და პროფილაქტიკასთან, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და რეაბილიტაციის საკითხებთან, კლინიკურ აზროვნებასთან, პრობლემის გადაჭრასთან და სხვა.
- სიცოცხლის განმავლობაში სწავლის და პროფესიული კვალიფიკაციის ზრდის შესაძლებლობას.

შესაბამისად, ითვალისწინებს რა ქვეყნის ჯანდაცვის მოთხოვნებს და ამავდროულად ეფუძნება სამედიცინო განათლების საერთაშორისო სტანდარტებს, უმაღლესი სამედიცინო სკოლა “აიეტი” თავისი კურსდამთავრებულებისათვის განსაზღვრავს დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგებს.

სწავლის შედეგები დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით აღწერს თუ რა უნდა იცოდეს, რისი გაკეთება უნდა შეეძლოს და რა ფასეულობები უნდა ჰქონდეს უმაღლესი სამედიცინო სკოლა “აიეტის” კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ.

ზოგადი კომპეტენციები

1. ანალიზისა და სინთეზის უნარი.
რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული შეფასება, მათი დამოუკიდებელი ანალიზი, ანალიზის შედეგების გასაგებად გადმოცემა და შემდგომ მათი გამოყენება. ახალი ინფორმაციისადმი კრიტიკული მიდგომა, სხვადასხვა მონაცემების გაანალიზება, შეჯამება, ინტეგრაცია, დასკვნის გამოტანა, მიღებული შედეგების ანალიზისას მტკიცებულებების და/ან საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანა.
2. ინფორმაციის მართვა.
სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავება და მისი კრიტიკული შეფასება. პროფესიული საქმიანობისას მოძიებული ინფორმაციის გამოყენების უნარი.
3. პრობლემის გადაჭრა/გადაწყვეტილების მიღება.
დამოუკიდებლად კომპლექსური პრობლემების განსაზღვრა, ჩამოყალიბება, მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. სპეციალობის ფარგლებში დამატებითი რესურსების ცოდნა და საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად გამოყენება.
4. კომუნიკაციის უნარი, მათ შორის უცხო ენაზე.

დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის, აგრეთვე, არავერბალური კომუნიკაციის უნარი. შეხვედრებში მონაწილეობა და მოსაზრებების ზეპირსიტყვიერად და წერილობით გადმოცემა. პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა.

5. სწავლის/ცოდნის მუდმივი განახლების უნარი.
სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა. ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობის გაცნობიერება; საკუთარი ცოდნის და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი.
6. ახალ გარემოსთან ადაპტაციის უნარი.
კოლექტივში პრაქტიკული მუშაობის ჩვევები, პროფესიული სუბორდინაციის/ ადაპტაციის უნარი, ახალი ტექნოლოგიების ათვისების უნარი.
7. დამოუკიდებელი მუშაობის უნარი.
დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვის და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი. თავის საქმიანობასთან დაკავშირებული რესურსების სწორად დაგეგმვა. შესრულებულ სამუშაოზე პასუხისმგებლობა და მისი შეფასება და კრიტიკა.
8. ღირებულებები.
აქვს მედიცინის კონტექსტში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა, შეუძლია პაციენტის უფლებების დაცვა; პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა ნებისმიერ პირთან, განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა. პაციენტთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

დარგობრივი კომპეტენციები

დარგობრივი ცოდნა

1. საბაზისო მეცნიერებების ცოდნა.
ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ფუნქცია (ფიზიოლოგია)
ადამიანის ორგანიზმის ნორმალური აგებულება (ანატომია)
ადამიანის ორგანიზმის ნორმალური მეტაბოლიზმი და ჰორმონული ფუნქცია (ბიოქიმია)
ადამიანის ნორმალური იმუნური ფუნქცია (იმუნოლოგია)
უჯრედის ნორმალური ბიოლოგია
ადამიანის ნორმალური განვითარება (ემბრიოლოგია)
2. ქცევითი და სოციალური მეცნიერებების ცოდნა.
ფსიქოლოგია
ადამიანის განვითარება (ბავშვი-მოზარდი-ზრდასრული-ხანდაზმული)
სოციოლოგია
3. კლინიკური მეცნიერებების ცოდნა.
პათოლოგიური სტრუქტურა და დაავადებების მექანიზმი (პათოლოგია)
ინფექცია (მიკრობიოლოგია)
იმუნიტეტი დ იმუნოლოგიური დაავადებები

- გენეტიკა და მემკვიდრეობითი დაავადებები
4. წამლები და მათი დანიშვნის პრინციპების ცოდნა.
 ანტიბიოტიკების გამოყენება და ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა
 წამლების გამოწერის პრინციპები
 წამლების გვერდითი ეფექტები
 წამლების ურთიერთქმედება
 სისხლისა და სისხლის პროდუქტების ტრანსფუზია
 წამლების მოქმედება და ფარმაკოკინეტიკა
 ცალკეული წამლები
 სხვადასხვა ტიპის დამხმარე/ალტერნატიული სამკურნალო საშუალებები და მათი გამოყენება პაციენტის მკურნალობაში
 5. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ცოდნა და ამ სისტემაში ექიმის როლის გაცნობიერება.
 დაავადებების პრევენცია
 ცხოვრების წესი, დიეტა და კვება
 ჯანმრთელობის ხელშეწყობა
 დაავადების სკრინინგი და დაავადებებზე ზედამხედველობა
 ინვალიდობა/უნარშეზღუდულობა
 გენდერული საკითხები ჯანდაცვაში
 ეპიდემიოლოგია
 კულტურული და ეთნიკური ფაქტორების ზეგავლენა ჯანდაცვაზე
 რესურსების განაწილება და ჯანმრთელობის ეკონომიკა
 გლობალური ჯანმრთელობა და უთანასწორობა
 6. ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა.
 პაციენტის უფლებები
 უნარშეზღუდული პირების უფლებები
 კოლეგებთან ურთიერთობის პრინციპები
 7. ექიმის როლი ჯანდაცვის სისტემაში.
 მედიცინასთან დაკავშირებული კანონმდებლობა
 პროფესიული რეგულაციის სისტემები
 კლინიკური აუდიტის პრინციპები
 ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გზები

დარგობრივი უნარები

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს

1. პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა
 ანამნეზის შეკრება
 ფიზიკალური გამოკვლევის ჩატარება
 კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება
 განმარტებებისა და რჩევების მიცემა
 პაციენტის გამხნევება და მისი უფლებების დაცვა
 პაციენტის ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასება

2. კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა.
 კლინიკური მოხსენების სირთულის გაცნობიერება და შეფასება
 შესაბამისი გამოკვლევების დანიშვნა და შედეგების ინტერპრეტაცია
 დიფერენციული დიაგნოზის გატარება
 პაციენტებთან და მათ მომვლელებთან დაავადების მართვის გეგმის განხილვა
 ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტზე და მის ოჯახზე ზრუნვა
 ქრონიკული დაავადების მართვა
3. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები).
 გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და შეფასება
 გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების მკურნალობა
 ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა
 გაიდლაინების შესაბამისი ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება
 გაიდლაინების შესაბამისი სიცოცხლის შემანარჩუნებელი გაფართოებული ღონისძიებების ჩატარება
 ტრავმების მკურნალობა გაიდლაინების შესაბამისად
4. მედიკამენტების გამოწერა.
 მედიკამენტების გასაგებად და აკურატულად გამოწერა
 შესაბამისი წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება
 მედიკამენტური და სხვა სახის მკურნალობის შესაბამისობის განხილვა და პაციენტისთვის პოტენციური სარგებელისა და რისკის შეფასება
 ტკივილისა და დისტრესის მკურნალობა
 მედიკამენტების თავსებადობის გათვალისწინება მკურნალობის დანიშვნისას
5. პრაქტიკული პროცედურების ჩატარება.
 წნევის გაზომვა
 ვენეპუნქცია
 ვენაში კათეტერის ჩადგმა
 სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება
 ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში
 ჟანგბადის მიწოდება
 პაციენტების ტრანსპორტირება და მასთან მოპყრობა
 ნაკერის დადგმა
 სისხლის ტრანსფუზია
 შარდის ბუმბიტის კათეტერიზაცია
 შარდის ანალიზის გაკეთება
 ელექტროკარდიოგრამის გადაღება
 სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება
6. სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია.
 პაციენტთან კომუნიკაცია
 კოლეგებთან კომუნიკაცია
 კომუნიკაცია ცუდი ამბის შეტყობინებისას
 ნათესავებთან კომუნიკაცია
 უნარშეზღუდულ პირებთან კომუნიკაცია

- კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მისაღებად
წერილობითი კომუნიკაცია (სამედიცინო ჩანაწერების ჩათვლით)
კონფლიქტის შემთხვევაში კომუნიკაცია
კომუნიკაცია დამხმარე პირის საშუალებით
კომუნიკაცია სამართალდამცავ ორგანოებთან და მასმედიასთან
ეფექტური კომუნიკაცია ნებისმიერ პირთან განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა.
7. სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება.
კონფიდენციალობის დაცვა
მკურნალობის დროს ეთიკის პრინციპების და ანალიზის უნარის გამოყენება
ინფორმირებული თანხმობის მიღება და სათანადო ჩანაწერის გაკეთება
სიკვდილის ცნობის გაცემა
აუტოფსიის მოთხოვნა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში)
მკურნალობისას საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის გამოყენება
8. პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება.
დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური ფაქტორების შეფასება
დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების სოციალური ფაქტორების შეფასება
დაავადებასთან დაკავშირებული სტრესის დადგენა
ალკოჰოლზე და წამალზე დამოკიდებულების დადგენა
9. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება.
მტკიცებულებების გამოყენება პრაქტიკაში
შესაბამისი ლიტერატურული კვლევის სწორად განსაზღვრა და ჩატარება
გამოქვეყნებული ლიტერატურის კრიტიკული შეფასება, დასკვნების გამოტანა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება.
10. სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება.
კლინიკური ჩანაწერების მოწესრიგებულად და სრულად შენახვა
პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება
სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიება
ინფორმაციის შენახვა და შემდეგ მისი გამოყენება
პირადი ჩანაწერების შენახვის უნარი (პორტფოლიო)
11. სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება.
სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის ცოდნა; კვლევის დიზაინის, დეტალური დაგეგმვის, მიღებული შედეგების დამუშავებისა და დასკვნების გაკეთების უნარი.
პრაქტიკულ საქმიანობაში ბიომედიცინის მიეცნიერებების მიღწევების გამოყენების უნარი
ბიომედიცინაში სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე რეფერატის/მიმოხილვის დაწერის უნარი
სამეცნიერო კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპების ცოდნა.

12. ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა.
მკურნალობის ჩატარება, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს პაციენტისთვის ზიანის მიყენების რისკი
ინფექციის გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების გატარება
საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერება და პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებაში საკუთარი ჯანმრთელობის შეფასება
ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობა, როგორც ინდივიდის, ასევე პოპულაციის დონეზე.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა უშვებს:

- ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
 - ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
 - ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სამ ეტაპად. I ეტაპი – საბაზისო სამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებათა შესწავლა, II ეტაპი – კლინიკური მედიცინის შესწავლა და III ეტაპი – ზოგადი სპეციალიზაცია.

საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებები

1. ზეპირი პრეკვიზური ჩათვლები. თითოეულ საგნობრივ ბლოკში, რომელიც შედის მოდულის შემადგენლობაში სტუდენტი აბარებს ზეპირ პრეკვიზურ ჩათვლას ნიშანზე.

1.1. ზეპირი პრეკვიზური ჩათვლის შეფასება ხდება კრედიტების სისტემით – ლათინური ასოებისა და შესაბამისი რიცხვობრივი ექვივალენტების (ქულების) საშუალებით:

- A (ფრიადი) - 5 (Pass - ჩააბარა)
- B (ძალიან კარგი) - 4 (Pass - ჩააბარა)
- C (კარგი) - 3 (Pass - ჩააბარა)
- D (დამაკმაყოფილებელი) - 2 (Pass - ჩააბარა)
- E (საკმარისი) - 1 (Pass - ჩააბარა)
- FX (ვერ ჩააბარა) - 0 (Fail - ვერ ჩააბარა)

1.2. მოდულის მასალაში შემავალი რომელიმე საგნობრივი ბლოკის კურსაციაზე გამოყოფილი საათების 20% -ზე მეტის გაცდენის შემთხვევაში სტუდენტი ზეპირ

პრექვიზურ ჩათვლაზე გადის მხოლოდ გაცდენილი პრაქტიკული მეცადინეობების აღდგენის შემდეგ.

2. კომპლექსური ტესტური გამოცდა – ქვიზი (QUIZ). საბაზისო მედიცინის შესწავლისას თითოეულ სემესტრში პერიოდულად, გარკვეული მოდულის გავლის შემდეგ, ამ მოდულის შესაფასებლად ტარდება კომპლექსური ტესტური გამოცდა – ქვიზი (Quiz). თითოეულ სემესტრში სტუდენტს 3 ქვიზი აქვს ჩასაბარებელი.

2.1. ქვიზზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომელსაც პრაქტიკულ მეცადინეობებზე დამუშავებული აქვს მოდულის საგნობრივ ბლოკებში შეტანილი მასალა და თითოეულ საგნობრივ ბლოკში მიღებული აქვს ზეპირი პრექვიზური ჩათვლა (Pass).

2.2. მოდულის შეფასება წარმოებს ქულებით, როგორც ჯამურად, ისე ცალკეული საგნობრივი ბლოკების მიხედვით. კრედიტების, ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) გამოყენებით

2.3. თითოეულ საგნობრივ ბლოკში სტუდენტის მოსწრება ფასდება საგნობრივი ბლოკის კომპონენტებით. მოდულში შემავალი თითოეული საგნობრივი ბლოკის, ისევე როგორც მთლიანად მოდულის შესაფასებლად გამოიყენება ოთხი კომპონენტი:

I კომპონენტია საგნობრივი ბლოკის ლექცია-პრაქტიკულებზე სტუდენტის დასწრების მაჩვენებელი; I კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს მაქსიმუმ 5 ქულა.

მოდულის I კომპონენტი მასში შემავალი საგნობრივი ბლოკების I კომპონენტთა საშუალო არითმეტიკულია

II კომპონენტი (I-II სემესტრი) – სტუდენტის აქტიურობის მაჩვენებელი; II კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს მაქსიმუმ 25 ქულა.

II კომპონენტი (III-V სემესტრი) – სტუდენტის აქტიურობის მაჩვენებელი; II კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს მაქსიმუმ 35 ქულა (15 ქულა ენიჭება პრაქტიკულ მეცადინეობაზე, 15 ქულა PBL-ში აქტივობის, 5 ქულა - საბაზისო კლინიკური გამოცდილების შეძენაში აქტივობის მიხედვით).

II კომპონენტი (VI სემესტრი) – სტუდენტის აქტიურობის მაჩვენებელი; II კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს მაქსიმუმ 55 ქულა (25 ქულა ენიჭება პრაქტიკულ მეცადინეობაზე, 15 ქულა PBL-ში აქტივობის, 15 ქულა - საბაზისო კლინიკური გამოცდილების შეძენაში აქტივობის მიხედვით).

მოდულის II კომპონენტი მასში შემავალი საგნობრივი ბლოკების II კომპონენტთა საშუალო არითმეტიკულია.

III კომპონენტი (I-II სემესტრი) – ზეპირ პრექვიზურ ჩათვლაში სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება, ანუ ზეპირი ჩათვლის მაჩვენებელი; III კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს მაქსიმუმ 30 ქულა.

III კომპონენტი (III-V სემესტრი) – 20 ქულა ზეპირ პრექვიზურ ჩათვლაში სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება, ანუ ზეპირი ჩათვლის მაჩვენებელი;

მოდულის III კომპონენტი მასში შემავალი საგნობრივი ბლოკების III კომპონენტთა საშუალო არითმეტიკულია.

საგნობრივი ბლოკის შუალედური შეფასებების (ანუ პირველ სამ (I-III) კომპონენტში სტუდენტის მიერ დაგროვილი ქულების) ჯამი პრექვიზური (ქვიზისწინა) მოსწრების შეფასებაა (პრექვიზური ქულა).

სტუდენტს პირველ სამ (I-III) კომპონენტში შეუძლია დააგროვოს მაქსიმუმ 60 პრექვიზური ქულა.

მოდულის შუალედური შეფასებების ჯამი მასში შემავალი საგნობრივი ბლოკების შუალედური შეფასებების (პრექვიზურ ქულათა) საშუალო არითმეტიკულია.

ქვიზზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა (I-III კომპონენტების ჯამისა) და დასკვნითი გამოცდის – ქვიზის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი ქვიზზე არ დაიშვება.

IV კომპონენტი – სტუდენტის მიერ ქვიზში მიღებული დასკვნითი შეფასება ECTS-ს 100 ქულიანი სკალით, ანუ გამოცდის მაჩვენებელი. IV კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს მაქსიმუმ 40 ქულა.

დასკვნითი შეფასების გამოსათვლელად საჭიროა გამოცდაზე (ქვიზზე) სტუდენტის მიერ, როგორც თითოეულ საგნობრივ ბლოკში, ისე ჯამურად ECTS-ს 100 ქულიანი სკალით დაგროვილი ქულა გამრავლდეს 0,4-ზე, რადგან საგნობრივი ბლოკში, ისევე როგორც მოდულში სტუდენტის მოსწრების შესაფასებლად გამოყენებული კომპონენტებიდან ამ კომპონენტზე 40% მოდის.

2.4. მოდული ჩაითვლება თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე ანუ ქვიზში ECTS-ს 100 ქულიანი სკალით ჯამში მოაგროვებს 51 ქულას ან მეტს. თუ ქვიზის ჯამური შეფასება 51 ქულის ტოლია ან აღემატება მას, მაგრამ სტუდენტმა საგნობრივი ბლოკების 1/4-ზე მეტში ECTS-ს 100 ქულიანი სკალით მიიღო 51 ქულაზე ნაკლები – მოდული არ ჩაითვლება.

2.5. თუ სტუდენტმა ქვიზის ჩაბარებისას ან გადაბარებისას ჩათვალა მოდული (მიიღო ჩათვლისთვის აუცილებელი ჯამური შეფასება არანაკლებ 51 ქულისა), მაგრამ საგნობრივი ბლოკების 1/4-ში ან ნაკლებში ვერ მოაგროვა 51 ქულა და მეტი, მაშინ მან თითოეული ჩავარდნილი საგნობრივი ბლოკი უნდა გადააბაროს ტესტურად სემესტრის ბოლოს.

2.6. მოდულში შემავალი თითოეული საგნობრივი ბლოკის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს.

2.7. მოდულის საბოლოო შეფასება წარმოადგენს მასში შემავალი ცალკეული საგნობრივი ბლოკების შუალედური შეფასებების საშუალო არითმეტიკულისა და მოდულის დასკვნითი შეფასების ჯამს.

2.8. მოდულის, ისევე როგორც მასში შემავალი საგნობრივი ბლოკების საბოლოო შეფასება ხდება როგორც ECTS-ს 100 ქულიანი სკალით, ისე ECTS-ს რიცხობრივი ექვივალენტით (ქულით) – Grade Point (Quiz Grade Point – QGP) 1-დან 5-ის ჩათვლით და შესაბამისი ლათინური ასოებით, ანუ ნიშანით – Mark.

ჩააბარა/ ვერ ჩააბარა	ECTS-ს 100 ქულიანი სკალით,	ECTS-ს რიცხობრივი ექვივალენტი	Mark (ნიშანი)
> 50 (Pass - ჩააბარა)	> 90	5	A (ფრიადი)
> 50 (Pass - ჩააბარა)	81 - 90	4	B (ძალიან კარგი)
> 50 (Pass - ჩააბარა)	71 - 80	3	C (კარგი)
> 50 (Pass - ჩააბარა)	61 - 70	2	D (დამაკმაყოფ)
> 50 (Pass - ჩააბარა)	51 - 60	1	E (საკმარისი)
41 - 50	Fail	0	FX (ვერ ჩააბარა)
0 - 40	Fail	0	F (ჩაიჭრა)

- 2.9. თუ სტუდენტმა მოდულის საბოლოო შეფასებისას ჯამში დააგროვა 51 ქულაზე ნაკლები, კერძოდ, 41 – 50 ქულა, მაშინ ითვლება, რომ სტუდენტმა მოდული ვერ ჩააბარა [შეფასება FX (0)] და მას ეძლევა ამ მოდულის დასკვნითი გამოცდის (ქვიზის) განმეორებით ჩაბარების უფლება მოდულის საგნობრივი ბლოკების დანარჩენი კომპონენტების (I-III) ხელახალი გავლის გარეშე.
- 2.10. მოდულის საბოლოო შეფასებისას სტუდენტი ითვლება ჩაჭრილად თუ მან ჯამში დააგროვა 41 ქულაზე ნაკლები (0 – 40 ქულა) და, შესაბამისად, მიიღო შეფასება F(0). ამ შემთხვევაში სტუდენტს არ ეძლევა ქვიზის (მოდულის) გადაბარების უფლება, არ ენიჭება შესაბამისი კრედიტები და მას მოუწევს მოდულის საგნობრივი ბლოკების კომპონენტთა (I-III) ხელახალი გავლა.
- 2.11. ქვიზის, ისევე როგორც ქვიზში ჩავარდნილი საგნობრივი ბლოკების ტესტური გადაბარება შეიძლება მხოლოდ ერთხელ.

კლინიკური მედიცინა

1. ზეპირი პრეკვიზური ჩათვლები და ქვიზები კლინიკურ საგნებში.
 - 1.1. კლინიკური მედიცინის სასწავლო კურსებში ჩათვლები ტარდება ცალკეული თემების დამთავრების შემდეგ. მოცემულ სასწავლო კურსში კურსაციის დამთავრების შემდეგ სტუდენტი აბარებს ზეპირ პრეკვიზურ ჩათვლას.
 - 1.2. კლინიკური მედიცინის სასწავლო კურსების კურაციაზე გამოყოფილი დღეების 10% -ზე მეტის გაცდენის შემთხვევაში სტუდენტი ზეპირ პრეკვიზურ ჩათვლაზე გადის მხოლოდ გაცდენილი პრაქტიკული მეცადინეობების აღდგენის შემდეგ.
 - 1.3. ზეპირი პრეკვიზური ჩათვლის შეფასება ხდება ECTS-ს სისტემით – ლათინური ასოებისა და შესაბამისი რიცხვობრივი ექვივალენტების (ქულების) საშუალებით.
 - 1.4. კლინიკური მედიცინის შესწავლისას ქვიზი ტარდება სემესტრში მხოლოდ ერთხელ ყოველი სემესტრის ბოლოს იმ სასწავლო კურსებში, რომლებსაც სტუდენტი სემესტრის განმავლობაში სწავლობდა. ქვიზზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომელსაც ქვიზში შეტანილ ყველა სასწავლო კურსში ჩაბარებული აქვს ზეპირი პრეკვიზური ჩათვლა.
 - 1.5. კლინიკური მედიცინის სასწავლო კურსის შესაფასებლად გამოიყენება ხუთი კომპონენტი:
 - I კომპონენტი სასწავლო კურსის ლექცია-პრაქტიკულებზე სტუდენტის დასწრების მაჩვენებელი; I კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს მაქსიმუმ 5 ქულა.
 - II კომპონენტი – სტუდენტის აქტიურობის მაჩვენებელი; II კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს მაქსიმუმ 20 ქულა.
 - III კომპონენტი – კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასება. III კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს მაქსიმუმ 15 ქულა.
 - IV კომპონენტი – ზეპირ პრეკვიზურ ჩათვლაში სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება, ანუ ზეპირი ჩათვლის მაჩვენებელი; IV კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს მაქსიმუმ 20 ქულა.

სასწავლო კურსის შუალედური შეფასებების (ანუ პირველ ოთხ (I-IV) კომპონენტში სტუდენტის მიერ დაგროვილი ქულების) ჯამი პრეკვიზური (ქვიზისწინა) მოსწრების შეფასებაა (პრეკვიზური ქულა).

სტუდენტს პირველ ოთხ (I-IV) კომპონენტში შეუძლია დააგროვოს მაქსიმუმ 60 პრეკვიზური ქულა.

ქვიზზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა (I-IV კომპონენტების ჯამისა) და დასკვნითი გამოცდის – ქვიზის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი ქვიზზე არ დაიშვება.

V კომპონენტი – სტუდენტის მიერ ქვიზზე სასწავლო კურსში მიღებული დასკვნითი შეფასება ECTS-ს 100 ქულიანი სკალით, ანუ გამოცდის მაჩვენებელი. V კომპონენტში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს მაქსიმუმ 40 ქულა.

დასკვნითი შეფასების გამოსათვლელად საჭიროა გამოცდაზე (ქვიზზე) სტუდენტის მიერ სასწავლო კურსში ECTS-ს 100 ქულიანი სკალით დაგროვილი ქულა გამრავლდეს 0,4-ზე, რადგან სტუდენტის მოსწრების შესაფასებლად გამოყენებული კომპონენტებიდან ამ კომპონენტზე 40% მოდის.

1.6. კლინიკური მედიცინის სასწავლო კურსი ჩაითვლება თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე ანუ ქვიზში ECTS-ს 100 ქულიანი სკალით ამ სასწავლო კურსში მოაგროვებს 51 ქულას ან მეტს.

1.7. კლინიკური მედიცინის სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს.

1.8. კლინიკური მედიცინის სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება ხდება როგორც ECTS-ს 100 ქულიანი სკალით, ისე ECTS-ს რიცხოვრები ექვივალენტით (ქულით) – Grade Point (Quiz Grade Point – QGP) 1-დან 5-ის ჩათვლით და შესაბამისი ლათინური ასოებით, ანუ ნიშანით – Mark.

ჩააბარა/ ვერ ჩააბარა	ECTS-ს 100 ქულიანი სკალით,	ECTS-ს რიცხოვრები ექვივალენტი	Mark (ნიშანი)
> 50 (Pass - ჩააბარა)	> 90	5	A (ფრიადი)
> 50 (Pass - ჩააბარა)	81 - 90	4	B (ძალიან კარგი)
> 50 (Pass - ჩააბარა)	71 - 80	3	C (კარგი)
> 50 (Pass - ჩააბარა)	61 - 70	2	D (დამაკმაყოფ)
> 50 (Pass - ჩააბარა)	51 - 60	1	E (საკმარისი)
41 - 50	Fail	0	FX (ვერ ჩააბარა)
0 - 40	Fail	0	F (ჩაიჭრა)

1.9. თუ სტუდენტმა კლინიკური მედიცინის სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებისას დააგროვა 51 ქულაზე ნაკლები, კერძოდ, 41 – 50 ქულა, მაშინ ითვლება, რომ სტუდენტმა კლინიკური მედიცინის სასწავლო კურსი ვერ ჩააბარა [შეფასება FX (0)] და მას ეძლევა ამ სასწავლო კურსი დასკვნითი გამოცდის (ქვიზის) განმეორებით ჩაბარების უფლება სასწავლო კურსის დანარჩენი კომპონენტების (I-IV) ხელახალი გავლის გარეშე.

1.10. კლინიკური მედიცინის სასწავლო კურსი საბოლოო შეფასებისას სტუდენტი ითვლება ჩაჭრილად თუ მან ჯამში დააგროვა 41 ქულაზე ნაკლები (0 – 40 ქულა) და, შესაბამისად, მიიღო შეფასება F(0). ამ შემთხვევაში სტუდენტს არ ეძლევა ქვიზის გადაბარების უფლება, არ ენიჭება შესაბამისი კრედიტი და მას მოუწევს სასწავლო კურსის დანარჩენი კომპონენტების (I-IV) ხელახალი გავლა.

1.11. ქვიზის, ისევე როგორც კლინიკური მედიცინის სასწავლო კურსის ტესტური გადაბარება შეიძლება მხოლოდ ერთხელ.

შემაჯამებელი გამოცდები.

1. შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა საბაზისო (თეორიულ) მედიცინაში: საბაზისო და სამედიცინო მეცნიერებათა კურსი.
2. საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების კურსის დამთავრების შემდეგ III კურსის გაზაფხულის (VI) სემესტრის ბოლოს ბარდება ტესტირებული 400 – 450 კითხვიანი მინტეგრირებული შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა ერთდროულად თეორიული მედიცინის ყველა სასწავლო კურსში. ტესტირებულ კითხვათა რაოდენობა განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის სასწავლო მოცულობის ქვოტების გათვალისწინებით.
3. საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების კურსის შემაჯამებელ გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ყველა მოდული.
4. საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების კურსის შემაჯამებელი გამოცდის შედეგების შეფასება ხდება ქულებით, როგორც ჯამურად, ისე თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით კრედიტების, ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის გამოყენებით
5. საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების კურსის შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტმა გამოცდაზე ჯამში (ES) დააგროვა 51 ქულა ან მეტი და იმავდროულად თითოეულ სასწავლო კურსში დააგროვა არანაკლებ 51 ქულისა ან ჩასაბარებელი სასწავლო კურსების არაუმეტეს 1/4-ში ვერ მიიღო ჩაბარებისთვის აუცილებელი მინიმალური ქულა – 51. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სტუდენტმა მომდევნო სემესტრის (VII სემესტრი) დაწყებამდე თითოეული ჩავარდნილი სასწავლო კურსის მასალა უნდა გადააბაროს ტესტურად. მხოლოდ ამ ტესტური გამოცდის ჩაბარების შემდეგ ითვლება სტუდენტი თეორიული მედიცინის კურსიდან კლინიკური მედიცინის კურსზე გადაყვანილად.
6. საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების კურსის შემაჯამებელი გამოცდაზე ჯამში (ES) დააგროვა 50 ქულაზე მეტი, მაგრამ ჩასაბარებელი საგნების 1/4-ზე მეტში ვერ დააგროვა ჩაბარებისთვის აუცილებელი მინიმალური ქულა – 51 ან გამოცდაზე ჯამში დააგროვა 41 – 50 ქულა, მაშინ ითვლება, რომ სტუდენტმა საბაზისო მედიცინის შემაჯამებელი გამოცდა ვერ ჩააბარა (შეფასება FX(0) და მას ეძლევა ამ გამოცდის განმეორებით ჩაბარების უფლება.
7. საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების კურსის შემაჯამებელი გამოცდაში სტუდენტი ითვლება ჩაჭრილად თუ მან გამოცდაზე ჯამში (ES) დააგროვა 41 ქულაზე ნაკლები (0 – 40 ქულა) და, შესაბამისად, მიიღო შეფასება F(0). ამ შემთხვევაში სტუდენტს არ ეძლევა საბაზისო მედიცინის შემაჯამებელი გამოცდის გადაბარების უფლება სასწავლო კურსების შუალედური შეფასების კომპონენტების ხელმეორედ გავლის გარეშე
8. საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების კურსის შემაჯამებელ საეტაპო გამოცდაზე თითოეული სასწავლო კურსის შუალედური შეფასება შეადგენს საბოლოო შეფასების არაუმეტეს 60%-ს. აქედან არაუმეტეს 30%-სა მოდის მოცემული სასწავლო კურსის ცალკეულ ბლოკებში, რომლებიც სხვადასხვა მოდულის შემადგენლობაში შედიოდა, მიღებული შუალედური შეფასებების (პრექვიზური ქულების) საშუალო არითმეტიკულზე და არაუმეტეს 30%-სა – დასკვნითი შეფასებების (ქვიზის ქულების) საშუალო არითმეტიკულზე.

9. საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების კურსის შემაჯამებელ საეტაპო გამოცდაზე თითოეული სასწავლო კურსის დასკვნითი შეფასება შეადგენს საბოლოო შეფასების არაუმეტეს 40%-სა და წარმოადგენს საბაზისო მედიცინაში ტესტირებულ მაინტეგრირებელ გამოცდაზე მოცემულ სასწავლო კურსში მიღებულ ქულას.
10. საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების კურსის შემაჯამებელ საეტაპო გამოცდაზე თითოეული სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასების ჯამს.
11. საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების კურსის შემაჯამებელი საეტაპო გამოცდის, ისევე როგორც ამ გამოცდაში ჩავარდნილი სასწავლო კურსების ტესტურად გადაბარება შეიძლება მხოლოდ ერთხელ.
12. საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების კურსის შემაჯამებელი გამოცდის ჩაბარება სტუდენტის თეორიული მედიცინის კურსიდან კლინიკური მედიცინის კურსზე გადაყვანის საფუძველს იძლევა.
13. შემაჯამებელი ტესტური და ზეპირი გამოცდები კლინიკურ მედიცინაში.
14. შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა კლინიკურ მედიცინაში. V კურსის ბოლოს ტარდება შემაჯამებელი ტესტური 400 – 500 კითხვიანი მაინტეგრირებელი შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა ერთდროულად კლინიკური მედიცინის სასწავლო კურსებში. ტესტირებულ კითხვათა რაოდენობა განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის სასწავლო მოცულობის ქვოტების გათვალისწინებით. გამოცდა ტარდება კომპიუტერის გამოყენებით ან მის გარეშე.
15. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელ გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ყველა ქვიზი.
16. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელი გამოცდის შედეგების შეფასება ხდება ქულებით, როგორც ჯამურად (ES), ისე თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით კრედიტების, ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) გამოყენებით.
17. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელი საეტაპო გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტმა გამოცდაზე ჯამში დააგროვა 51 ქულა ან მეტი და იმავდროულად თითოეულ სასწავლო კურსში დააგროვა არანაკლებ 51 ქულისა ან სასწავლო კურსების არაუმეტეს 1/4-ში ვერ მიიღო ჩაბარებისთვის აუცილებელი მინიმალური ქულა – 51. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სტუდენტმა მომდევნო სასწავლო წლის (VI კურსის) დაწყებამდე თითოეული ჩავარდნილი სასწავლო კურსის მასალა უნდა გადააბაროს ტესტურად. მხოლოდ ამ ტესტური გამოცდის ჩაბარების შემდეგ ითვლება სტუდენტი კლინიკური მედიცინის კურსიდან ზოგადი სპეციალიზაციის კურსზე გადაყვანილად.
18. თუ სტუდენტმა კლინიკური მედიცინის შემაჯამებელი გამოცდაზე ჯამში დააგროვა 50 ქულაზე მეტი, მაგრამ ჩასაბარებელი საგნების 1/4-ზე მეტში ვერ დააგროვა

ჩაბარებისთვის აუცილებელი მინიმალური ქულა – 51 ან გამოცდაზე ჯამში დააგროვა 41 – 50 ქულა, მაშინ ითვლება, რომ სტუდენტმა ეს გამოცდა ვერ ჩააბარა [შეფასება FX(0)], და მას ეძლევა ამ გამოცდის გადაბარების უფლება.

19. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელი გამოცდაში სტუდენტი ითვლება ჩაჭრილად თუ მან გამოცდაზე ჯამში დააგროვა 41 ქულაზე ნაკლები (0 – 40 ქულა) და, შესაბამისად, მიიღო შეფასება F(0). ამ შემთხვევაში სტუდენტს არ ეძლევა კლინიკური მედიცინის შემაჯამებელი გამოცდის გადაბარების უფლება სასწავლო კურსების შუალედური შეფასების კომპონენტების ხელმოწერა გავლის გარეშე.
20. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელ საეტაპო გამოცდაზე თითოეული სასწავლო კურსის შუალედური შეფასება შეადგენს საბოლოო შეფასების არაუმეტეს 60%-ს. აქედან არაუმეტეს 30%-სა მოდის მოცემული სასწავლო კურსის შუალედურ შეფასებაზე – პრეკვიზურ ქულაზე (ან შუალედური შეფასებების საშუალო არითმეტიკულზე) და არაუმეტეს 30%-სა – დასკვნით შეფასებაზე – ქვიზის ქულაზე (ან დასკვნითი შეფასებების საშუალო არითმეტიკულზე).
21. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელ საეტაპო გამოცდაზე თითოეული სასწავლო კურსის დასკვნითი შეფასება შეადგენს საბოლოო შეფასების არაუმეტეს 40%-სა და წარმოადგენს კლინიკურ მედიცინაში ტესტირებულ მაინტეგრირებელ გამოცდაზე მოცემულ სასწავლო კურსში მიღებულ ქულას.
22. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელ საეტაპო გამოცდაზე თითოეული სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასების ჯამს.
23. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელი საეტაპო გამოცდის, ისევე როგორც ამ გამოცდაში ჩავარდნილი სასწავლო კურსების ტესტურად გადაბარება შეიძლება მხოლოდ ერთხელ.
24. კლინიკური მედიცინის შემაჯამებელი საეტაპო გამოცდის ჩაბარების შემდეგ სტუდენტი გადადის კლინიკური მედიცინის კურსიდან ზოგადი სპეციალიზაციის კურსზე (VI კურსზე).
25. ზოგადი სპეციალიზაციის საკვალიფიკაციო გამოსაშვები ზეპირი გამოცდები. ზოგადი სპეციალიზაციის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უტარდება საკვალიფიკაციო გამოსაშვები ზეპირი გამოცდები ერთდროულად ყველა იმ საგანში, რაშიც სტუდენტმა ზოგადი სპეციალიზაცია გაიარა (შინაგანი სნეულებანი, ქირურგიული სნეულებანი, მეან-გინეკოლოგია, პედიატრია, ინფექციური და ნერვული სნეულებანი).
26. საკვალიფიკაციო გამოსაშვები ზეპირი გამოცდების შეფასება წარმოებს ნიშნებით, რომლებსაც ECTS-ს 100 ქულიანი სკალით შეესაბამება შემდეგი ქულები: A(5) – ფრიადი – 95 ქულა; B(4) – ძალიან კარგი – 85 ქულა; C(3) – კარგი – 75 ქულა; D(2) – დამაკმაყოფილებელი – 65 ქულა და E(1) – საკმარისი – 55 ქულა.

27. საკვალიფიკაციო გამოსაშვები ზეპირი გამოცდებიდან ერთი ან რამდენიმე გამოცდის ვერ ჩაბარების (FX (0) – Fail) შემთხვევაში სტუდენტს ამ გამოცდის (გამოცდების) გადაბარება შეუძლია ერთი თვის შემდეგ.
28. საკვალიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი სამკურნალო საქმის სპეციალობით და მიეცემა შესაბამისი დიპლომი.